№ 173, აგვისტო 10 კვირა
1886
აგვისტო 10, კვირა № 173

ივერია

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ტერიქეროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1-ლის აგვისტოდამ წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 50 კაპ.

ტფილისი, 9 აგვისტო

ჩვენ წინა წერილში („ივერია“ № 170) სხვა ქვეყნების ისტორია ვიმოწმეთ, რომ ყოველ გვარი წესი სხვისა მიწის ხმარებისა საზოგადოდ და საკუთრივ წესი ხიზნებისა წარმომდგარია მიწისა და მუშა-ხელის განცალკევებისაგან. ჩვენ ესეცა ვსთქვით, რომ ხიზნობა ისე, როგორც ჩვენშია, სხვაგანაც ყოფილა და დღესაც არის მცირეოდენის განსხვავებით და ამიტომაც სხვისა ქვეყნის ისტორია ამ საქმისა უტყუარი მოწამე უნდა იყოს ჩვენის ხიზნობისაცა. ჩვენში ხშირად იციან, რომ როცა ჩვენის ცხოვრების რომელსამე ვითარებას სხვისის ისტორიით ვხსნით, არა ჰხედვენ იმისთანა მოვლენას, რომელსაც საერთო კაცობრიობის თვისება და ხასიათი აქვს და თავის გასამართლებლად იძახიან ხოლმე ან ჩვენს ცხოვრებას, ან ჩვენს ისტორიას საერთო რა აქვს დანარჩენ ქვეყნიერობის ცხოვრებასა და ისტორიასთან, რომ ამა და ამ ვითარებასა ჰქონდესო. რომ ასე უმართლოდ და სუბუქად არ მოიწიონ ზემოთქმულის აზრების დასარღვევად, ჩვენ მოვიყვანთ მოწმად ლაველეს, ამისთანაებში მთელს ევროპაში გათქმულს მეცნიერს, რომელიც იმის საბუთად რომ მიწის მფლობელობის საქმე ყველგან ერთ ნაირად წარმართულა, ამბობს:

„ჩვენ ხშირად გავუკვირვებივართ ერთს ამბავს. რომელიმე ჩვეულებანი, რომელიმე წესნი, მუდამ წარმოდგენილნი გვქონდა, ვითომც ერთის რომელისამე ერის კუთვნილებანი არიან, მაშინ, როდესაც იგივე ჩვეულებანი, იგივე წესნი ჰქონიათ ბევრს სხვა ერსაცა და ეკუთვნიან იმ ჩვეულებათა რიცხვს, რომელნიც ყოველს ადგილას ყოფილან და რომელთ ზედმოქმედების ქვეშაც მთელს კაცობრიობას გამოუვლია თავისის წარმატების და ცივილიზაციის მძიმე გზა.“

პირველ ხარისხოვანი მეცნიერი ევროპისა ჰენრიხ მენი, გვირჩევს რა რჯულიერების სათავის აღსახსნელად ვიხმაროთ მეთოდი შედარებითის ისტორიულის გამოკვლევისა, ამბობს:

„მაშინ ცხადი იქნებოდა, რომ რჯული, კანონი ადამიანის თვით-ნებობისაგან კი არ არის წარმომდგარი, არამედ რომელთამე ეკონომიურ მოთხოვნილებათაგან ერთის მხრით და მეორეს მხრით იმ სიმართლის მცნებისაგან, რომელიც წარმომდინარეობს ზნეობრივისა და რელიგიურის გრძნობისაგან. ეგ მოთხოვნილებანი, ეგ იდეები, ეგ გრძნობანი ყველგან ერთი და იგივენი იყვნენ და ერთ ნაირად მოქმედობდნენ ყველა საზოგადოებაზედ მის განვითარების რომელსამე ხანაში. ხოლო არა ყველა ერი მიდიოდა ერთისა და იმავე ბიჯით განვითარების გზაზედ.“

ამ სახით არავინ არ უნდა გაიკვირვოს, რომ ერთი და იგივე წესი მიწათ-მფლობელობისა, თუ ხმარებისა მოიპოვებოდეს ერთმანეთზედ ძლიერ დაშორებულ ქვეყნებშიაც ერთისა და იმავე სახით, ერთისა და იმავე ბუნებითა. რომ ჩვენი ხიზნობაც არ არის იმისთანა განსაკუთრებული მოვლენა, რომელიც მარტო საქართველოს ერს ეკუთვნის და სხვაგან არ მოიძევება, მტკიცდება იმითი, რომ იგი ყველგან არის, თუმცა სხვა-და-სხვა სახელითა, მაგრამ ბუნებითად, არსებითად კი ისეთის მსგავსებითა, რომ კაცს აკვირვებს. იგი გვარი სხვისა მიწის ხმარებისა, რომელსაც ჩვენ ხიზნობას ვეძახით, არის გერმანიაში და ჰქვიან ერბრახტი, გოლანდიაში ჰქვიან ბეკლემრეხტი, საფრანგეთში სხვა-და-სხვა ადგილას სხვა-და-სხვა სახელი ჰქვიან, მაგალითებრ: ბრეტანში—ქვევეს, სხვაგან—დომენ კონჟებლ, იტალიაში—ლიველო, პორტუგალიაში—აფორამენტო, ინგლისში—ოლსტერის ჩვეულება, რუსეთში—ჩინში.

სრული დამთავრებული სახე ხიზნობისა პორტუგალიის აფორამენტოა და უფრო გოლანდიის ბეკლემრეხტი. სხვები კი და მათ შორის ჩვენებური ხიზნობაც, იმავ მიზეზით წარმომდგარი, იმავ ბუნებით აგებული, იმავ გზაზედ მიმდინარი, ერთმანეთში იმით სხვა-და-სხვაობენ, რომ თავის განვითარების გზაზედ ზოგს ნელის ბიჯით უვლია და ბოლომდე ჯერ ვერ მიუღწევია, ზოგი თითქო შუა-გზაზედ შემდგარა, ზოგს სხვა-და-სხვა ისტორიული გარემოება გადაჰქოლობებია. ერთის სიტყვით, ამ სხვა-და-სხვა სახელებიან ხიზნობათა შორის იგივე განსხვავებაა, რაც მოზარდსა და დავაჟკაცებულ ადამიანთა შორის: მოზარდი აგებულებით, ტანით, ხელით, ფეხით იგივე ადამიანია, ხოლო განსხვავება იმაშია, რომ ერთი დამთავრებულია და სრული, მეორე ჯერ კიდევ გაზრდის გზაზეა. სწორედ ამ გაზრდის გზაზე მოასწრო დღევანდელმა დღემ ჩვენ ხიზნობასა, თუ გოლანდიის ბეკლემრეხტთან შევადარებთ. მერე ვნახავთ ეს გზა საით არის მიმართული.

ახალი ამბავი

⁂ ჩვენ მოგვივიდა ჩარკვიანის წიგნის მაღაზიისაგან გამოცემული წიგნაკი ჩვენის მწერალის ანტ. ფურცელაძისა: „შოთა რუსთაველი და მისი ცოლი, ძველადგან ამბად დარჩენილი“. წიგნი სუფთად არის გამოცემული და ღირს 10 კაპ.

⁂ ქალაქში პურის ფასმა აიწია. აქამდე 75—80 კაპ. იყო ფუთი ქართლური და გარე-კახური პური, ახლა ხუთსა და ხუთ აბაზ უზალთუნად ისყიდება; ქერი ფუთი ათი შაური ფასობს. რუსეთშიაც აუწევია პურის ფასს ალაგ-ალაგ. ბერლინშიაც, როგორც დეპეშამ გვაცნობა, ამ ორის დღის წინად დაძვირდა პური. ქალაქში პურის გაძვირების მიზეზად იმასა სთვლიან, რომ განჯისკენ დიდი საწყობები გაუმართავთ პურისა, დიდს ძალს პურსა ჰყიდულობენ და აგროვებენ ამ საწყობებში, ისე რომ ქვეიდამ პური ნაკლებად შემოდის ქალაქში.

⁂ ეს ორი დღეა ცოტაოდნად აგრილდა ჩვენს დამწვარს და თონესავით გახურებულ ქ. ტფილისში; აქამდე ისე ცხელოდა, რომ სუნთქვა სჭირდა თავისუფლად, ახლა-კი სიო ჰბერს და აგრილებს ქალაქში სხვა-და-სხვა მიზეზების გამო მომწყვდეულ და აგარაკად და სოფლად გასვლის ხელმოკლე მცხოვრებთა.

⁂ წუხელის, ღამის ათს საათზე ერთს რუსს დაეჭირა ვიღაც სომეხი, თუ ქართველი და მიათრევდა პოლიციაში: შენ ჩემს ცოლს უკან მოსდევდი შუა-ბაზრიდამ დაწყობილი და მერე უპატიური სიტყვებიც უთხარი და ხელითაც შეეხეო. თქვენ უნდა პოლიციაში წაგიყვანოთ, რომ ჭკუა გასწავლონ, თორემ თქვენი გადამკიდე ჩვენს კაცს ქუჩაზე ველარ გაუვლიაო.

⁂ აი როგორ აწერს ბათუმის ეხლანდელს ყოფას «Одесскій Лис-

ფელეტონი

საკვირაო სხარტულა

(წერილი კუდიანეთიდამ)

კვირა დღეს ყველას გართობა ენატრება. — მეფელეტონეს სტვირი გასართობად უნდა უკრავდეს. — ფილოსოფოსის აზრი. — გულისა და გონების ჭია და სინიდისის კოლოფი. — ეგებ კუდიანეთიდამ მოწერილმა ამბავმა გაართოს მკითხველი. — „ივერიის“ მეფელეტონეს წუწუნი. — ქუთაისის ცხოვრებიდამ სამი სურათი კუდიანეთის თეატრში. — ფართო შლიაპოსანთ ფერის-ცვალება. — ბანქოს მკრეფელი სტუდენტი. — ბანქოს ბირჟაზე ქართულის ენის მოწამე და მისი მგოსანი. — სათნო და უწყინარი ახალ-გაზდა კაცის აღსარება და მონოლოგი კუდიანეთის სცენაზე. — მეორე წარმოდგენის აფიშა.

მთელს საქრისტიანოში კვირა დღე, მოგეხსენებათ, მოსვენების დღეა: ყველა გასართობს და სასიამოვნო ამბებს ეძებს. ამ დღეს კაცი ყველაფერს თავიდამ იშორებს, რაც მას დღიურს ბოროტს მოაგონებს, თუ კი შესძლო... რაღა თქმა უნდა, კვირის მეფელეტონეც ვალდებულია, რომ მკითხველის წადილს ყური მიაპყროს და, მის სურვილისამებრ, სტვირი აამღეროს; მაგრამ რაც საზოგადოდ შეუძლებელია, ის მეფელეტონესათვისაც შეუძლებელია. ერთმა ფილოსოფოსმა სთქვა (და მეც დიდის სიამოვნებით ვეთანხმები): კაცს ერთი ჭია უზის გულისა და გონების კოლოფშიაო და რაც უნდა ეცადოს, ამ ჭიას ისე ვერ გააბრუებს, რომ თავი ვერ აიღოს და სინიდისის კიდობანი ვერ ახადოსო. აი, იმ წამს, აიხდება თუ არა სინიდისის კიდობანი, ეგ სიმართლის მოყვარე მსაჯული გადაავლებს თვალს კაცის ნამოქმედარს, მიმოიხილავს კაცის სამოქმედო ასპარეზს, კარგსა და ავს საქციელს ერთმანერთს დაუპირდაპირებს და აი ეს წამია, როცა კარგის მომქმედი სიტკბოების ოცნებაში სცურავს და ავის მომქმედი სირცხვილის მათრახით იშოლტება და მწვავის შანთით იდაღება. დიაღ, ეგ ჭია თურმე მუდამ დაუძინებელია; შავ ორშაბათსაც ისე მოქმედობს, როგორც კვირას, აღდგომასაც იმ გუნებაზეა, როგორც წითელ პარასკევს; მისი გაბრუება არც ფარაონის დროის ეგვიპტელს მოგვს შესძლებია, არც დასავლეთის ჰიპნოტებს შეუძლიანთ იმასთან არც შელოცვა გავა, არც შეჩვენება, არც ჯადო, ვიდრე კაცს კაცის ნიშან-წყალი არ დაჰკარგვია და პირუტყვად არ გამხდარა.

⁂

ერთით გული ამ ფილოსოფოსის აზრისაკენ მიმიწევდა, როცა ამ საკვირაო ფელეტონსა ვსწერდი; მეორედ კი ძალას მატანდა: დასწერე ისეთი რამ, მოჰყე ისეთს ამბავს, რომ ცხოვრების მორევში და დღიურის ლუკმისთვის ზრუნვის ბადეში მუდამ მოტრიალე მკითხველი ჭმუნვის გარსიდამ გამოიყვანო და ცხრა მთას გადაღმა გადასტყორცნო მისი გონებაო. მეც ავილე-დავილე და ასეთი განჩინება შევადგინე: მოდი მივსწერ წერილს კუდიანეთიდამ ჩვენს მკითხველებს მეთქი. მოდი ვსცადო, ეგებ კუდიანეთის მოამბემ შესძლოს ის, რაც ჯამბაზეთის მოუბარს ვერ შესძლებია. ვინიცობაა, ამ წერილმა დღევანდელს დღეს გაართოს მკითხველი მეთქი. „ივერიის“ მკითხველებისა რა მოგახსენოთ და „დროების“ მკითხველებს ეხსომებათ, რომ აგერ ორი წელიწადი გადის მას აქედ, რაც მე ერთმა კუდიანმა ჯადო გამიკეთა, ცოცხზე შემსო, დამიწრუწუნა და მეშვიდე ცაში, იქ სადაც კუდიანეთია, თავი ამომაყოფინა. მას აქედ აქ ამირანის ჯაჭვით გახლავართ დაბმული და, როგორც პრომეთეოსს, მეც მწიწკნიან გულს, ხოლო ყორნები კი არა, არამედ კუდიანები. მწიწკნიან, მაგრამ დროებით აქ ვარჩიე ცხოვრება, რადგანაც ჩვენის ქვეყნის ამბები, ცხოვრება, საზოგადოების წევრთა შორის დამოკიდებულება, ქალ-ვაჟის საქციელი, განათლებულთა და გაუნათლებელთა მოქმედება და მიმართულება ისე ცხადად არსად არა ჩნდება და არ იხატება, როგორც აქ: ისე გგონია, რომ მთელი კუდიანეთი სარკეა, რომელშიაც მთელი დედამიწა მისის მცხოვრებლებით შიგ იხატებაო.

⁂

მიკვირს, რომ ხან-და-ხან ზოგიერთი მეფელეტონეები აწუწუნდებიან: საკბილო საგანი ვერ ვიშოვეთ, არ ვიცით, რაზე ვილაპარაკოთ, ვერ მოგვიხერხებია ისეთი საინტერესო რამ გამოვძებნოთ, რომ მკითხველების სურვილი დავაკმაყოფილოთო. საკვირველია, ღმერთმან იცის! აქ იმდენი ამბები ამოდის თქვენის ქვეყნიდამ, თქვენის ცხოვრებიდამ, რომ მთელი კუდიანეთის ცა რომ ქაღალდად გადაიქცეს, შავი და თეთრი ზღვა მელნად, რაც ქვეყანაზე ფრინველთა ფრთაა—კალმად და რაც მეჭორე დედა-კაცებია — ლიტერატორებად, მაინც კიდევ ვერ აუვალთ, რომ ყველა მანდაური ამბები დავსწეროთ და საშვილი-შვილო განძად დავტოვოთ.

ახლა, ბატონებო, რამდენადაც შევიძლებ, ვეცდები ჩავწერო ჩემს დავთარში აქ ამოტანილი თქვენებური ამბები და ხან-და-ხან, თუ დრო და მოცლაც მექნება, კვირაობით ზემოხსენებულ ჭიის ხან დასაძინებლად და ხან გასაღვიძებლად ფელეტონით მოგაწოდოთ ისეთი ამბები და სცენები, რომელსაც თქვენის საკუთარის თვალით ვერა ჰხედავთ, მაგრამ ხშირად მოხდება ხოლმე თქვენს გარეშემო თქვენდა შეუმჩნევლად.

⁂

წარსულ კვირას კუდიანეთში წარმოადგინეს სცენები ქუთაისის ცხოვრებიდამ. ჩვენ წინ გამოჩნდა ქუთაისის ბულვარი. ბულვარზე არავინა სჩანდა. მერმე აქედ-იქითგან ვიღაც ახალ-გაზდა ყმაწვილები გამოვიდნენ; თავზე ისეთი „შლიაპები“ ეხურათ, რომ იმის ჩრდილში შეეძლოთ ყოველ მაშრიყელთ და მაღრიბელთ ხალხთ თავი შეეფარათ კვირიკობისთვის პაპანებაში. «შლიაპის» არშიაზე ეწერა: ლიბერალი—თავისუფლების მოყვარე. უეცრად ქარმა ამოუბერა, „შლიაპები“ მოჰხადა და ნაცვლად ეგრედ-წოდებულის „პოლუცილინდრისა“, ნახევარ კოთხოები წამოახურა თავზე: კოთხოზე „ცრუ-ლიბერალი“ ამოვიკითხეთ; კიდევ დაუბერა ქარმა და თავებზედ მთელი კოთხოები წამოახურა, ამის წარწერა ჩვენ ველარ ამოვიკითხეთ და ვიღაცამ

ТОКЪ»-ის ბათუმელი კორრესპონდენტი: პორტო-ფრანკოს მოსპობამ დიდი ფაცა-ფუცი და მიხეთქებ-მოხეთქება გამოიწვიაო; ახლა-კი ნელ-ნელა მიყუჩდა ქალაქი და მისწყდა ამ ამბით ატეხილი ქარ-ტეხილიო. ახირებული ფასები რომ შემოიღეს ვაჭრებმა, ახლა აღარ არსებობს და აღებ-მიცემობას ხელს არ უშლისო. ქალაქი განთავისუფლდა პორტო-ფრანკოს ჯაჭვებისაგან და საოცრად იზრდება, სწორედ ისე, როგორც ზღაპრებშია ხოლმეო. ბათუმი ეხლა ათას-გვარს საქმეს იჭერს გარშემო სოფლებთანა და მთელს ამიერ-კავკასიასთანაო. აქამდე კი ეს ქალაქი სრულიად განშორებული და მოწყვეტილი იყო ამიერ-კავკასიასაო იმ საოცარის საბაჟო შევიწროებისა და ჯოჯოხეთის გამო, რომელიც უნდა გამოეარნა ყველას, ვინც კი ფეხის გადადგმას მოინდომებდა დიპლომატებისაგან მოჯადოებულ ქალაქ გარედაო. ახლა აღარაფერი ეს აღარ არსებობსო. სარგებლობა მთელის ქვეყნისა მსხვერპლად იყო შეწირული ბათუმის მოქალაქეთათვის. ვგონებთ, ამათაც აღარ უნდა დაენანოთ ის ორიოდე მომეტებული გროში, რომელსაც გაიღებენ, თუ აბრეშუმეულსა და გასართობს ნივთებს იყიდიან. ბათუმის ადგილ-მდებარეობა-კი ისეთია, რომ ადვილად შეუძლიან როგორც სამზღვარ გარედ ჰგზავნოს საქონელი ამიერ-კავკასიისა, ისე მიიღოს კიდეც სამზღვარ გარეთიდამ. მეტადრე ადვილი იქნება ეს, თუ, როგორც აქ ამბობენ, პორტო-ფრანკოს ჯიბრით მოსპობილი ტრანზიტი კვლავ ნება-დართული იქნებაო. მაინცა-და-მაინც ეხლა ბათუმში უფრო ადვილად და თავისუფლად ჰსუნთქავს კაცი(?) და ათასის მილეთის გაიძვერებსაც უფრო ნაკლებად ჰხედავსო.

⁂ ურიებმა დაატყვევეს ბაქოვო, ამბობს ერთი ბაქოს გაზეთი. მას შემდეგ, რაც როჩშილდის ხელში გადავიდა ბაქოს ნავთის საქმეო, ერთი ჯარი ურიები შემოგვესივნენო და თუმცა კანონი 3 მაისისა 1882 წლისა უშლის ებრაელთ ან შეიძინონ მიწა საკუთრებად, ან იჯარით აიღონ და ან მოურავებად იყვნენ იქ, სადაც სამუდამო ბინა არა აქვთ, როჩშილდის მარჯვენა და მარცხენა ხელნი ამ კანონს მარჯვნივაც არღვევენ და მარცხნივაცაო. დაიწყო თუ არა საქმე როჩშილდმა, მაშინვე ყველგან სულ ურიები ჩააყენაო. მმართველობის დირექტორებადაც უთუოდ ურიებს დანიშნავსო, თუმცა, როგორც შევიტყეთ იმ სარწმუნო კაცისაგან, რომელიც მოეხმარა როჩშილდს და ნავთის საქმის აქციები ასყიდვინა, ამ კაცისავე რჩევით ორი ქართველი იქმნა განწესებული მმართველობის დირექტორადაო. ერთი თ. დ. ერისთავი და მეორე თ. ნ. ორბელიანიო. მმართველობა ბათუმში იქმნებაო და თავსმჯდომარედ ისევ ებრაელია დანიშნული ბ-ნი ეფრუსიო.

კარგია რომ ებრაელების მოძულე გაზეთმა ქართველების დანიშვნისათვისაც შოლტი არ გადაჰკრა საწყალს როჩშილდს და თუ კანონით არა, ამითი მაინც არ შეაშინა მდიდართა მეფე, მხდალი ებრაელი.

⁂ გაზ. „ნორ-დარის“ სიტყვით შუშაში განუზრახავთ ყოველ-თთვიური ჟურნალი ჰბეჭდონ სომხურს ენაზედაო. ჟურნალის რედაქტორად ბ-ნი არაქელიანი იქნებაო.

⁂ ს. მოროზოვმა, რომელსაც დიდი ფაბრიკა აქვს და ბამბისაგან სხვა-და-სხვა ჩითეულობასა ჰქსოვსო, განუზრახავს ამიერ-კავკასიაში ბამბა სთესოსო. ამ აზრით ამას წინედ, როგორც გაზეთი „Новости“ ამბობს, ორი აგრონომი გაუგზავნია ამერიკაში ბ-ნს მოროზოვს ამ მცენარის მოვლის ხელი შეისწავლეთო. ეხლა ეს აგრონომები დაბრუნებულან და შემოდგომიდამ საქმეს კიდეც შეუდგებიანო.

⁂ ამას წინად ქალაქის ტეხნიკმა ბ-ნმა მელიქ-ბეგლიაროვმა პოლიციის მოხელეთა თანადასწრებით გასინჯა ბ-ნ პაპოვის შენობები ავჭალის ქუჩაზედ. ეს შენობები მეტად ძველი აღმოჩნდა თურმე, ასე რომ საშიშია უეცრივ არ გადმოიქცეს და ხალხი არ მოიტანოს ქვეშაო. ამას გარდა, ცეცხლიც ადვილად გაუჩნდება ამ შენობასაო. მელიქ ბეგლიაროვმა განაჩენი შეადგინა, რომ ეს სახლი დაიქცეს და ახალი აშენდესო. ამის გამო მდგმურები გადავიდნენ ამ სახლიდგანაო. ქალაქის გამგეობამ უკვე განკარგულება მოახდინა, რომ ეს განაჩენი აღსრულებაში მოყვანილ იქმნასო. („კავკაზი“)

⁂ ამავე გაზეთის სიტყვით, კახეთის ქუჩაზედ, მნაცაკანოვის ხიდის გვერდზედ დასახოცავ სხვილ ფეხს საქონელსა ჰყიდიან თურმე. ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ ყველა საქონელი რიყეზედ ჩარეკეთ და იქ გაჰყიდეთ ხოლმე ჩვეულებისამებრო.

⁂ ამ დღეებში მიჰყობენ ხელს წყლის-გასაყვან მილების დაწყობას და გამაგრებასაო, ამბობს გაზ. «კავკაზი».

⁂ ამავე გაზეთის სიტყვით, ჩვენში აბრეშუმის მრეწველობა თან-და-თან წინ მიდისო. ყველაზედ კარგი აბრეშუმის ქარხანა ამიერ-კავკასიაში გამართეს ძმ. ვარონინებმა და ალექსეევმა. ამათმა რწმუნებულმა ბ-ნმა ვენედისოვმა ქარხნის გასამართავ ადგილად ამოირჩია ქ. ნუხა. ეს ქარხანა 1864—65 წწ. გადავიდა მირზოევის ხელში და ეხლა ეს კაცია ამ ქარხნის პატრონიო. ამის შემდეგ ქარხანა სულ უქმად იყო დატოვებული და არა მუშაობდა. წარსულს წელს ეს აბრეშუმის ქარხანა იჯარით აიღო ერთმა აგდაშელმა ქანჯუნცევმაო. ქანჯუნცევმა თითქმის ფეხზედ დააყენა ამ ქარხნის საქმე: გამოიწერა ლომბარდიიდგან(იტალიაშია) აბრეშუმის კეთების საქმის მცოდნე იტალიელი, რომელიც აგერ წელიწად ნახევარია აწარმოვებს ამ ქარხნის საქმეს. ამის შემდეგ აბრეშუმი ამ ქარხნიდგან უფრო უკეთესის ღირსებისა გამოდიოდა, ვიდრე ადრე და გირვანქაც თუმნად ისყიდებოდა, თუმცა ეს აბრეშუმი იაპონიის ჯურის ყაჭიდგან იყო ამოხვეულიო. ეს ქარხანა აბრეშუმს მოსკოვსა და მარსელში ჰგზავნის გასასყიდადაო.

ამ ჟამად ამ ქარხანაზე 90 აბრეშუმის ამომხვევი მუშაობს, რომელთაც 45 ხელ-ქვეითი ჰყავსთ და 4 ზედა-მხედველი. მუშა-კაცს ქარხანა მეტად იაფადა შოულობს. სულზე დღეში 10—25 კაპ. ეხარჯება და ამას გარდა მუშა თავის ხარჯზე უნდა იყოსო.

ქარხანა მთელს წელიწადსა მუშაობს შეუყენებლივ და წელიწადში 300 ფუთამდე აბრეშუმს ახვევს (ალექსეევის დროს 1,000 ფუთამდე აბრეშუმს ართავდნენო).

⁂ 8 აგვისტოს, მე-9 ნაწილში, მიხაილოვის ქუჩაზედ, ექიმს კოლლეჟსკი სოვეტნიკს ქალანთაროვს მოჰპარეს ოქროს საათი ოქროსავე ძეწკვით და 33 მანათი ფული, სულ 350 მანათად ღირებული. ეს ქურდობა ჰბრალდება ქუთაისის გუბერნიის, სოფ. კონტუსტის მცხოვრებელს ივანე სვიმონის ძეს რუხაძეს. დამნაშავე დაჭერილია. გამოძიება სწარმოებს.

⁂ 8 აგვისტოს, მე-8 ნაწილში, ტფილისის მოქალაქე ავეტიქ გალუსტოვი თურმე მიდიოდა ალექსანდრე იაგუბოვის სამიკიტნოში, უეცრად წაიქცა და გარდაიცვალა. გარდაცვალებულის გვამი ანატომიურს თეატრში გაუგზავნიათ. გამოძიება სწარმოებს.

⁂ ამავე დღეს, მე-5 ნაწილში, ქალაქის ექიმს ბახუტოვს-პოლიციის მოხელეთა თანადასწრებით დაუთვალიერებია ბაყლებისა და მეპურის დუქნები და გადაუყრევინებიათ 600 ცალი საზამთრო და ნესვი, 15 ფუთამდე სხვა-და-სხვა გვარი ხილი და 1½ ფუთამდე ცუდად გამომცხვარი პური.

⁂ 7 და 8 აგვისტოს ქალაქის ექიმს გერმიშევს დაუთვალიერებია ავლაბარში ბაყლის დუქნები და 300-მდე მკვახე საზამთრო და ნესვი და 3 ფუთამდე ხილი გადუყრევინებია.

⁂ 5 აგვისტოს, მე-7 ნაწილში ქალაქის ექიმს ბახუტოვს პოლიციის მოხელეთა თანადასწრებით დაუთვალიერებია ბაყლისა და მეპურის დუქნები და გადაუყრევინებია 900-მდე მკვახე საზამთრო და ნესვი და 18 ფუთამდე ცუდად გამომცხვარი პური.

დამაკვირდი!

ყველაზედ უმშვენიერესი მადლი, ჭკუთამდი მონიჭებული, ჯერ სიბრძნეა და მას შემდეგ მეგობრობა. (ლა როშფუკო)

**

როცა ჭკვიანები და პატიოსნები ერთად მოქმედობენ, მაშინ სულელნი და ფლიდნი მთლად უღონონი არიან. (დუკლო)

**

ვინც ყიდულობს მას, რაც არ უჭირს, ის მალე გაჰყიდის საჭიროსა. (ფრანკლინ)

**

ორგულთა სიტყვას ნუ ისმენ,
გაფთხილდი, ნუ მოსტყუვდები,
გასწყერ, დასჭერ და დასხივე
მტყუვანთ ტყუილის გუდები.
(დ. გურამიშვილი)

**

თუ ყვავი ვარდსა იშოვნის,
თავი ბულბული ჰგონია. (შ. რუსთაველი)

**

რაცა მალ-გედვას ეცადე,
სიმხნე მოიგე, შრომანი.
დიდთა შვილობას რად მოჰკვეხ?
ცუდია გვართაზომანი! (მეფე ვახტანგ VI)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გლადსტონის დამარცხების შემდეგ „ირლანდიის საქმე“ ცოტა არ იყოს მიჩუმდა, მაგრამ ყველას კარგად ესმის, რომ ეს სიჩუმე მხოლოდ დროებითია და ადრე თუ გვიან ირლანდიელები ხმას ისევ ამოიღებენ. გლადსტონს უნდოდა კიდეც ამისთანა წამალი ეხმარა, მაგრამ ვერ მოუხდა. გლადსტონის მოადგილეს, სალისბერს კი ან არა ჰსურს, ან არ შეუძლიან რაიმე ღონის-ძიება მოიპოვოს და „ირლანდიის საქ-

---

კი წამოიძახა «კოსმოპოლიტობის», ანუ არარაობის ქუდები გახლავთო. ერთი ფეთქა მოადინა რაღაცამ და ეს კოთხოები კაკარდიან ქუდებად გადაიქცა და სირმით ნაკერი საყელოები შემოერტყათ ცილინდრიანებს მსუქანს კისრებზე. ერთი ამათგანი წარმოსდგა და დავითის ებანზე შემდეგი ფსალმუნი დაამღერა:

რაღა მაკლია მე ესერა:
ზომით ჰყვენ დღენი ჩემნიო.

„არა რა გაკლიაო“, შესძახა მეორემ და ხელი მიუთითა. გავიხედეთ და დავინახეთ:—ცხრა უღელ კამეჩის და ათის აქლემის საპალნე ბანქო შემოიტანა ერთმა კუდიანმა ბანქოს ბირჟაზე. არიქა, გვიშველეთო! დაიძახეს, მოიხადეს ქუდები და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ დაესივნენ ბანქოებს. ზოგი ჯიბეში იწყობს, ზოგი უბეში, ზოგი სახელში, მაგრამ ეს საქონელი იმდენად საჭირო ყოფილა ქუთაისში, რომ მარტო მათ ვინ დაუთმობდა. გამოვიდა ბირჟაზე ახალგაზდა და მოხუცი, ქალი და ვაჟი, განათლებული და გაუნათლებელი, ისე დაიტაცეს, რომ აქა-იქ თუ ნახავდი ორ-ორს, სამ-სამს გაფანტულს, თორემ სრულს დასტას წამლად ველარ იშოვნიდი. ამ დროს ერთმა ყმაწვილმა გამოიარა, რომელსაც სტუდენტობა ეტყობოდა, აიღო ათიოდე ბანქო, ქაღალდში გაახვია და სთქვა: ეს ადესსაში უნდა გავუგზავნო ჩემს ამხანაგს, გამოიყენებსო. ფული რომ ჰქონდეს, ასეთს საჭირო საგანს იქაც იყიდიდა, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, სტუდენტს ფული ნაკლებად აქვს და უბანქოეოთ გაძლება ხომ «დისერტაციის» წერის დროსაც არ შეიძლებაო.

რაკი ასეთი საჭირო საგანი ხელთ იგდო აქაურმა საზოგადოებამ, ბულვარი დაიცალა! ბოლოს შემოვიდა ერთი ფრანგულად ჩაცმული კაცი, რომელსაც ორსავე ხელში ქართული გრამმატიკები ეჭირა. აღაპყრო ხელი და წარმოსთქვა: ჩვენის გრამმატიკის პატრიარხო, ანტონ კათალიკოზო, გარდმოიხედე საიქიოდამ და და იხილე და მოჰხედე ქართველსა ამას, რომელიც დაარსა მარჯვენემან ფარნაოზისამან, განამტკიცა შოთამ და წარწყმინდა ახლანდელმა «ივერიამ». ამ დროს გავიხედეთ და დავინახეთ ერთი ახირებული კაცი, რომელსაც შანშოვანის გრამმატიკა ავგაროზივით ჩამოეკიდა გულზე, დამდგარიყო სარკმელს ქვეშ, დაეჭირა ჩონგური და შემდეგს ლექსს ამღერებდა:

ვით დიდმა პეტრემ სარკმელი
დასავლეთისა გამოსჭრა,
აგრეთვე პატარა პეტრემ
ქართული ენა გამოსჭრა;

**

შიგ ჩაურთო ფრანგულები,
ბულკი ფოფხად გვითარგმანა,
„ივერიის“ ენა დაჰგმო,
„მწყემს“ მოსცხო ქაფურ ქალმანა.

**

„კავალერი“ ვაყად სთარგმნა,
„დამა“—ჰკად დაგვისახა,
„პეტუშოკის“ გალობაი
„პარიზიდამ“ დაგვიძახა.

ეს ლექსი გაათავა თუ არა, ისკუპა და ღია სარკმელში შეხტა. დაიკარგა, იმისი ვეღარაფერი გავიგეთ. «შენ ლექსზე გეტყობა, რაც გრამმატიკოსი ხარო», შესძახა ფრანგულად ჩაცმულმა და კიდევ ხელ აპყრობით წამოიძახა: უფალო, გარდმოიხედე ზეცით და იხილე და მოხედე ქართველსა ამას, რომელიცა დანერგა მარჯვენემან ფარნაოზისამან, განამტკიცა შოთამ და წაბილწა ახლანდელმა „ივერიამ“. მე შევსძახე „ბის“, „ბის“-მეთქი, მაგრამ ეგ სიტყვა იუკადრისა და თვალების ბრიალით გამისწორა: „ბის“-ის მაგიერად უნდა ითქვას „კიდევ“, ან „მეორედ“-ო და „ბრაოს“ მაგიერად—«ვაშა», «ვაშაო». ამის სიტყვები სწორედ რომ მართალი იყო და მეც პასუხი აღარ გამიცია. ვისურვოთ მხოლოდ, რომ ქართულს მართლა გამოსჩენოდეს ამისთანა თავ-გადადებული ფილოლოგი.

⁂

უეცრად ბულვარის მაგიერად, ქუთაისის ფერმა დაგვეხატა თვალ-წინ: აქ რაღაც ნაირი ახალ-მოდის ყმაწვილები, ქალი და ვაჟი, გამოვიდნენ... იგინი მხოლოდ მოგვაჩვენეს და მოქმედებაში არ გვინახავს. ეგ რატომ ინება კუდიანეთის თეატრის დირექტორმა, არ ვიცი. ჩვენ მოგვერიდა და იმიტომ არ დაგვენახვა მათი საქციელი, თუ არა ღირდა, რომ ხსენებულ მომქმედ პირთ ეთამაშნათ, ეგ ალლახმა უწყის. ამის შემდეგ სცენაზე გამოვიდა ერთი «უცხო მოყმე» ვინმე, რომელიც არც ახალ-გაზდებში ერია, არც ძველში, ახალიც იყო და ძველიც. არც ტანად უჭირდა რამ, არც თვალად. შესდგა ერთს მაღალს გორაკზედ და დაიწყო შემდეგი მონოლოგი:

„რუსსომ მაშინ გაითქვა სახელი ქვეყანაზე, როცა თვისი ცხოვრება, ბაშვობა, ჭაბუკობა, ვაჟკაცობა და სიბერე აღწერაო; მეცა ვფიქრობ ამ გზას დავადგე და აი ახლა რამდენისამე სურათს ჩემის ცხოვრებისას გადავსცემ მაყურებელს საზოგადოებასაო და დაიწყო: „მამაჩემი ვაჟკაცობაში ძლიერ მხევჰავი კაცი იყო. არ ერიდებოდა არც ქრთამს, არც ძღენობას, ქვრივ-ობლის შებრალება მაინც და მაინც არ უყვარდა, ამიტომ ცოტაოდენი ადგილ-მამული და სახლი შეიძინა; მაგრამ როცა ჩვენ, შვილები, წამოვიზარდეთ, სასწავლებელში უნდა მივებარებინეთ, ფულები საჭირო იყო, მამული „პრიკაზში“ უნდა მიეცა და ფული გამოეტანა. ილოცხლე იმან ფული გამოალაგა და ჩვენს აღზრდაზედაც ბევრი დაჰხარჯა და სტუმართ პატივ-საცემლადაც. მერმე სიღარიბე ეწვია, სამსახურიდამაც დაითხოვეს ამ დროს ლიბერალობა დაიწყო და თანაც სამღვთო წერილიც შეუყვარდა. ჩემის დაბადების წინა დღეს იგი თურმე ცას ათვალიერებდა, უეცრად ცა გაიხსნა თურმე და განსვენებულს მამაჩემს ხმა მოესმა: გიხაროდეს, იბადება სამშობლოს თვალ-მარგალიტიო. ამ დროს თურმე მარსმა მშვილდ-ისარი ჰერკულესის სვეტებზე ჩამოჰკიდა, კუპიდონმა, სიყვარულის ღმერთმა სიყვარულის ისრები ხალთაში ჩასდო, ზევსმა ელვა-ქუხილისა, მეხისა და გრგვინვის შურდული კლდეზედ ჩამოჰკიდა, ერისი, შურის ღმერთი სულ ყველა ლიბერალებს შეურიგდა, მზე ატოკდა, ვარსკვლავებმა კუნტრუში დაიწყეს და მთვარე თავს დაადგა თურმე ძღო-

მე“ რიგიანად გარდასწყვიტოს. ის საშუალება, რომელიც სალისბერის გამოუძებნია, ახალი არ არის და საქმეს უფრო გაამწვავებს და შვებას კი ვერას მისცემს.

> არამც თუ ინგლისშიო, ამბობს გაზეთი „Новости“, არამედ სხვა სახელმწიფოებშიაც დღეს ყველანი დარწმუნდნენ, რომ მარკიზ სალისბერს ახალი საშუალება ვერა მოუგონია-რა „ირლანდიის საქმის“ გარდასაწყვეტად გარდა იმისა, რომ ძალით უნდა ჩამოვაგდოთ ირლანდიაში წესი და რიგიო, თუნდა ამ საშუალებას სისხლის ღვრა და ირლანდიელების მამულიდამ სრულიად გაძევებაც მოჰყვესო. სალისბერის იდეალი, როგორცა სჩანს, ის არის, რომ ირლანდიაში მარტო დიდრონი მემამულეები დარჩნენ და ამათ მამულებს უმამულო, უმიწა-წყლო მუშა ხალხმა მოუაროს. თუ ირლანდიელები ამაზე უარს იტყვიან, მაშინ თოფ-იარაღით და სასტიკ კანონებით დავამშვიდებთო.

ეს არის ის საშუალება, რომელიც სალისბერის გამოუძებნია ირლანდიის დასამშვიდებლად, ამაზედ უკეთესი ვერა მოუგონია-რა. სალისბერის ფიქრით,

> ირლანდიელების უკმაყოფილების ერთად ერთი და ნამდვილი მიზეზი ვითომ ის არის, რომ ირლანდიაში რიგი და წესი არ არისო. ამიტომ თუ ინგლისის ერი მთავრობას სრულიად ენდობა და არა საშუალებაზე უარს არეტყვის, რომ ირლანდიაში წესიერება ჩამოვაგდოთ, მაშინ „ირლანდიის საქმე“ თავის თავად გათავდებაო.
>
> დიდის ხნის გამოცდილებამ დაგვარწმუნაო, ამბობს ბოლოს გაზეთი, რომ სასტიკის კანონებით ირლანდიის დამშვიდება ყოვლად შეუძლებელიაო.

ჩვენის ფიქრით, ამ გვარი საშუალება მარტო ირლანდიაში კი არა, სხვაგანაც არსად არის გამოსადეგი.

⁂

ჟურნალ „Историческій Вѣстникъ“-ში დაბეჭდილია საყურადღებო წერილები გარდაცვალებულ აქსაკოვზე.

ამ წერილებიდამ სხვათა შორის ვტყობილობთ, რომ აქსაკოვი ყოველს კვირას პარასკეობით ესრედ წოდებულ «saire», სადამოებს ჭმართავდა ხოლმე. აქსაკოვთან უმეტეს ნაწილად იკრიბებოდნენ მსწავლულნი, მწერალნი და საზოგადო საქმის მოღვაწენი. „ძლიერნი ამა სოფლისა“ არა კადრულობდნენ თურმე ამ სადამოებზე დასწრებას. ამის გამო აქსაკოვი ამბობდა ხოლმე თურმე:

> ეს ვაჟ-ბატონები ჩვენ ჯერ კიდევ ისე გვიცქერიან, როგორც „კეთროვანთა“... ვილაცა მწერალთან ერთად ყოფნა ჯერ კიდევ სათაკილო მიაჩნიათ... მაგრამ არ უშავს-რა, დღესაც ზოგი ამ „ძლიერთაგანი“ ჩუმად, მალულად შემოირბენს ხოლმე ჩემთან, რჩევას კითხულობს, ყურს უგდებს... ერთის სიტყვით, ზოგიერთი აზრი იმათთანაც შეპარულა. ეს ძალიან სასიამოვნოა: მხოლოდ აზრი მოაჩვევს იმათ ჩვენთანაო.

შემდეგ შევიტყეო, ამბობს იგივე ავტორი წერილებისა,

> რომ აქსაკოვთან მართლა შემოდიოდნენ „დიდის უფლების და ძალის მქონე კაცნი“, მხოლოდ დილით კი, იდუმალად, და თან აქედ-იქით იყურებოდნენ, ხომ არავინ გვხედავსო; ჰკითხავდნენ აქსაკოვს რჩევას, უჩიოდნენ სხვებსა და რომ გამოეთხოვებოდნენ კი, ხვეწნით ეუბნებოდნენ: „გეთაყვა ჩვენში დარჩეს, რაც აქ ითქვაო.“
>
> მეც დიდის სიამოვნებით ვასრულებდი იმათ თხოვნას, ამბობდა ხოლმე თურმე აქსაკოვი, და მხოლოდ ვიტყოდი ხოლმეო: „ღმერთო, ულხინე და განანათლე!“ სხვა რა მეთქმოდა იმ ვაჟ-ბატონებზე, რომელნიც სკოლის შეგირდებს მაგონებდნენო...

უცხოეთი

გერმანია. ამ რამდენიმე კვირის წინად დანიის კოროლს ქრისტიანეს გზად გაუვლია ემსში და რამდენიმე საათი გაჩერებულა იმიტომ, რომ გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი უნდა ენახოვო. კოროლმა ნახა იმპერატორი. მაგრამ იმპერატორმა კი აღარა ნახა, როგორც იტყვიან— „ვიზიტი“ არ გადაუხადა. გაზეთებმა მაშინვე ნაღარა დაჰკრეს; ეს ამბავი ევროპის მშვიდობიანობას დაარღვევსო. ბერლინელი კორრესპონდენტი გაზეთისა „Политическая Корреспонденція“ ამ საქმის თაობაზე აი რასა სწერს: როდესაც კოროლმა დანიისამ ქრისტიანემ ემსში ნახა იმპერატორი ვილჰელმი, გამოუცხადა გულითადი სიყვარული და მეგობრობა და სთხოვა მოხუცებულს იმპერატორს, რომ ნუ შესწუხდებით, „ვიზიტს“ ნუ გადამიხდითო, მე სულ რამდენიმე საათი ვრჩები ემსშიო. იმპერატორს იმა, რომ კოროლმა აღარ შეაწუხა მოხუცი. მივიდა თუ არა კოპენგაგენში დანიის კოროლი, მიიღო იმპერატორის ვილჰელმისაგან საკუთარის ხელით დაწერილი წერილი; სწერდა, რომ მადლობელი ვარ ემსში ნახვისათვისაო. ამ სიტყვებით ათავებს წერილსა: „მაგრამ მეც კი უნდა მენახა თქვენი უდიდებულესობაო“.

— დღეს სამზღვარ გარეთის გაზეთები სულ ამას ლაპარაკობენ: ნახავს რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი, სტატს-სეკრეტარი გირსი თავადს ბისმარკს და გრაფს კალნოკსა, თუ არაო? გარდაწყვეტილია, რომ უნდა ნახოსო, ხოლო ადგილი და დრო ნახვისა დანიშნული არ არისო. მალე კი არ მოხდება ეს ნახვაო. ბ. გირსი გაშტეინში არ წავაო; ბისმარკი კი გაშტეინში, თუ კარგი დარები დაიჭირა, დარჩება მარიობისთვის 18-მდეო; როცა იქიდამ დაბრუნდება, შეიძლება მაშინ ან ვარზინში და ან ფრიდრისხრუეში ნახოსო. ამასაც ამბობენ, რომ მინამ ბისმარკს შეეყრებოდეს სანახავად, გირსი გრაფს კალნოკს ნახავსო, ხოლო სადა ნახავსო, ამაზე არას ამბობენ. ამათს ნახვას არა ვითარიმე პოლიტიკური მნიშვნელობა არ ექმნებაო; ეს ნახვა მშვიდობიანობას მოასწავებს; დაამშვიდებს ევროპას, რომელიც შეაძრწუნა ხმებმა, ვითომ მეგობრული განწყობილება რუსეთისა გერმანიისა და ავსტრი-ვენგრიისადმი შეირყაო.

საფრანგეთი. საფრანგეთმა უფრო-და-უფრო დიდი ყურადღება მიაქცია თვისის ფლოტის განკარგებას; ააგეს დიდ-ძალი გემები და მუდამ ცდაში და ვარჯიშობაში არიან, რომლისათვისაც დიდი ფული იხარჯებაო. ამას წინად, მაგალითად, გაქანებული გემი აფეთქეს ზღვაში ჩადებული ნაღმითა. ამ თთვეში ტულონშიაც უცდიათ ნაღმების ძალა; ესვრიან თურმე ზარბაზნებს ჯავშნიანს გემსა და სცდიან მათს ძალასა. თუმცა დიდი ფული უჯდებათ, მაგრამ საფრანგეთი არად აფასებს, ოღონდ ჯარი ყოველ მხრივ გაიწვრთნას და განკარგდესო.

— გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, რომ გენერალი ბულანჟე სამსახურიდამ გამოდისო, მაგრამ ტყუილიაო; ბულანჟე ამ დღეებში ორის კვირით ნიცაში მიდისო. კვლავინდებურად მხნედ და დაუღალავად მოქმედობსო; ყოველ დღე ჯარებს ალლუმი აქვთ; ყოველ დღე იმათს სადგურებს სინჯავსო. ის სრულიადაც არ აქცევს ყურადღებას გაზეთებისაგან გამოგონილს ჭორებსა იმის სამსახურიდამ გამოსვლაზე; ყურიც არ ათხოვა მონარქიელთა გაზეთების ლაღადს და სიხარულს იმის გამო, რომ ომალის ჰერცოგმა რაღაებიც გამოაცხადა გაზეთებში, რათა ჩირქი მოეცხო ბულანჟეს სახელისათვისაო.

— გენერალს ბულანჟეს ჰსურსო, რომ ჯარის-კაცნი კვირაობით მოსვენებულნი იყვნენო. ამიტომ უთხოვნია საფრანგეთის პრეზიდენტისათვისა, რომ ალლუმი ჯარისა შაბათობით იყოს ხოლმე და კვირაობით თავისუფლად და მოსვენებით ივვნენო.

სერბია. გაზეთი Narodni listy ამბობს, რომ რამდენიმე სერბიელი გადავიდნენ ოსმალეთის სამზღვარზე და კრანისთან შეტაკება მოუხდათ ოსმალებთანაო. თუმცა სერბიის წარმომადგენელი სტამბოლში აშოშმინებს ხონთქარს. მაგრამ ხონთქარი ამ საქმეს სხვა ნაირად უცქერის; არც სერბიის მართებლობას და არც კოროლს მილანს [illegible] შეუძლიათ სთქვან, თუ რითი გათავდება ეს საქმე. მაინცა და მაინც ხონთქარი ამ ჟამად ერთობ შეწუხებულია: ხელმწიფეების, მინისტრების და პრინცების მისვლა-მოსვლა, ერთმანერთის ნახვა ოსმალეთს მოსვენებას არ აძლევსო. უთუოდ ჩვენ რამე საფთხეს გვიმზადებენ და ორმოს გვითხრიანო. ამისაგამო შეშინებულმა სულთანმა უბრძანა ზღვათა მინისტრსა, საჩქაროდ შეუკვეთე საკუთრივ ჩემის ხარჯით ორი ჯავშნიანი გემი ინგლისშიაო, ხოლო სამხედრო მინისტრს უბძანა, რაც შეიძლება მალე გაამაგრე ჩვენი სამზღვრებიო.

ბოლგარია. ვენის გაზეთებს სწერენ სტამბოლიდამ, რომ კარაველოვი სრულებით წინააღმდეგია და უარყოფს იმ მუხლთა რუმელიის ორგანებურის სტატუტისას, რომელიც რუმელიის ბოლგარიასთან შაერთებას ხელს უშლის. ოსმალეთი ემდურება ამისა გამო ბოლგარიასა, ძალიან უკმაყოფილოდ არის, თუმცა პრინცი ბატენბერგი კვლავინდებურად არწმუნებს და აშოშმინებს ხონთქარს, რომ ჩვენ თქვენს წინააღმდეგ არ წავალთო.

ბიბლიოგრაფია

„დასტურლამალი“, მეფის ვახტანგ მეექვსისა, გამოცემული პეტრე უმიკაშვილისაგან. ტფილისი, 1886 წ.

ამ გამოცემის წინა-სიტყვაობაში ბ-ნი პეტრე უმიკაშვილი სხვათა შორის სწერს შემდეგს:

«დასტულამალი», ანუ ნამდვილ „დასტურლამალი“ აქამომდე დაბეჭდილი არა ყოფილა; მხოლოდ რამდენიმე თავი ჟურნ. «მნათობში» 1871 და 1872 წ. დაიბეჭდა ჩვენის დედნიდამ. იგი ძალიან მცირედაც არის ცნობილი. თვით ბროსსეს თავის „ქართლის ცხოვრების“ შესავალში („Hist. de la Georgie.—Introduction et tables des matièrs“, 1858, p. CIII

ბაში მყოფს დედაჩემს. ეს ყველა იმას მოასწავებდა, პატივცემულო საზოგადოებავ, რომ მე მშვიდობის მოყვარე, **мирный гражданинъ**-ი უნდა შევქმნილვიყავი. დიაღაც, როცა ყმაწვილი ვიყავ, ჩვენის უბნის ქალების სულ ჩემს ქებაში იყვნენ: დამინახავდენ თუ არა, თავზე ხელს გადამისომდნენ, «შენი ჭირიმე, რომ ჭირვეული არა ხარო», მეტყოდნენ ხოლმე. გადია-ჩემი „ყუჩ“ ყმაწვილს მეძახოდა, დედა — წყნარს და მამა — „სათნოს“. დავიმარხე გულში ეს ჩემის ხასიათის ნიშნები და არასოდეს არ მინდოდა მათი უარ ყოფა. ასედაც მოხდა: სასწავლებელში ჩემი ამხანაგები მუდამ ცელქობდნენ, ამხანაგებს ემასხარავებოდნენ, მასწავლებლებს აჯავრებდნენ. მე კი იმათ არ ავყვევდი ხოლმე. ხან-და-ხან მასწავლებლებს სიტყვას შეუბრუნებდნენ, ათას ნაირის კითხვებით თავს აბეზრებდნენ, მე კი ასეთი მატრაკვეცობა არ მომწონდა: ვიჯექი ჩემთვის გუგულივით და ვიჯექი. ერთი ცელქი ამხანაგი გვყავდა, რომელსაც ჩემი გაჯავრება ძლიერ უყვარდა, მოვიდოდა და სწორედ რომ საზარელის ხმით ჩამკივლებდა ყურში და თანაც დააყოლებდა: დაგამუნჯა ღვთის მშობელმაო! მეწყინებოდა, მაგრამ არც კი ვაგრძნობინებდი და მოვერიდებოდი. ამასობაში წამოვიზარდე კიდეც, მეშვიდე და მერვე კლასში გადავედი, მაგრამ ვერც იქ იქონიეს გავლენა ჩემზე დაუდეგარმა ამხანაგებმა. ასე, ამ ნაირად გავათავე საშუალო სასწავლებელი. ახლა მაღალში უნდა წავსულვიყავ. იქაც ვცდილობდი ხასიათი არ გამომეცვალა; ჟამიერთ მეჯავრებოდა რაღაც ახირებული ბაასი—„სპორობა“. ჩემი ამხანაგები ასტეხდნენ თითქმის ყოველს დღეს რაღაც დავი-დარაბას, ჩამოსთვლიდნენ ევროპიელს მწერლებს, რუსეთის ლიტერატორებს, ჩვენს ქართველ ახალსა და ძველს ლიტერატორულ მოღვაწეთა. შოთა ასეთი პოეტი იყოვო, გურამიშვილი ისეთიო, გრიგოლ ორბელიანს ბარათაშვილი სჯობსო, აკაკი ჩვენის ერის სასიქადულო მგოსანიაო... ხან და ხან იმოდენს იყბედებდნენ, რომ საქმე მუშტზე მივარდებოდა ხოლმე. მე კი ვიჯექი ჩემთვის გუგულივით და ვიჯექი. არც «ჰო»-ს ვამბობდი არც „არა“-ს. კარგად ვიცოდი, რომ ამ ლაპარაკით არა გამოვიდოდა რა. ჩემის სიტყვით არც ერთი გაპოეტდებოდა, არც მეორე, არც ერთი შეიქმნებოდა დიდი ლიტერატორი, არც მეორე. ამხანაგები რაღაც უკმაყოფილებით მიცქეროდნენ, მაგრამ ყურსაც არ ვათხოვებდი ხოლმე. ოთხისა თუ ხუთის წლის შემდეგ სამშობლოსკენ დავბრუნდი...

⁂

ჩამოველი თუ არა ქ—ში, დამხვდა ათას-ნაირი „პარტია“: რავდენი კაციც მოიპოვებოდა, იმდენი «პარტია» იყო, მაგრამ უფრო შესანიშნავი იყო გაზეთ «შრომის» პარტია, ნიკოლაძის პარტია, ლოლობერიძის პარტია, „ღლასნების“ და ქალაქის თავის პარტია, სააზნაურო სკოლისა და სასულიერო სასწავლებლის პარტია და კიდევ სხვანი. არშიყობა რა იყო ქვეყანაზე, არ ვიცოდი და აი აქ კი გავიგე. ყოველ „პარტიის“ წარმომადგენელი მეტრფოდა, ყველა ხელის-ხელ საგოგმანებელ მარგალიტადა მთელიდა. მაგრამ იცოცხლე, ისინი მოსტყუვდნენ. სულ ყველას ჩაილულის წყალი დავალევინე: მე „პარტიობა“ არაფრად მეპრიანებოდა. აზიაში პარტიობა არავის არ დაშვენდება, ეს ყველას უნდა სცოდნოდა. დავიწყე გუგულივით სიარული ქ—ისის ბულვარზე, ვინც შემხვდავდა, მამა-ჩემს ცხონებას უთვლიდა: აი რა მშვიდი და წყნარი შვილი გამოზარდაო. მეზობლებმა და გარეშე მცხოვრებლებმა გაიგეს ჩემის სათნოების ამბავი და ახლა დიდი ნდობა და პატივის-ცემა მაქვს. გუშინწინ რედაქტორი მწერდა, რატომ ხელს არ გვიწყობ, ორიოდე ამბავს და დამაკვირდის რატომ არ გვიგზავნი გაზეთში ჩასაწერადაო. ვაი რა მოცლილი ყოფილა ე ჩვენი რედაქტორი! მე ვურჩევ იმ რედაქტორს და მისს მკითხველებსაც, რომ მე თითონ დამაკვირდნენს, და ასე იცხოვრონ ტკბილად, უზრუნველად, სათნოდ და მშვიდად, როგორც მე. რა გამოვიდა, რომ ჩემი ძველი ამხანაგები ზოგნი გაზეთში ჯღაბნით იწუხებენ თავს, ზოგნი სასწავლებლებში იხრჩობიან მტვერში, ზოგნი რაღაც „რეჩებს“ გამოუდგებიან ხოლმე ყოველს სადილსა და ვახშამზე. მე კი ჩემთვის ვარ; ჩემთვის თერთმეტ საათზედ სამდივნოში შევალ, მეორეზე გამოვალ; სალამოზე მოვუჯდები მწვანე სტოლს და ბანქო და ცარცი მიჭირავს ხელში შუა-ღამის მეოთხე საათამდის. ღვთის მადლით საჭმელი არ მაკლია და სასმელი. სანამდის ვიცოცხლებ და მეზობლებიც ერთგულნი მეყოლებიან, ასე გავატარებ წუთი-სოფელს: ვჭამ და ვსვამ, ვჭამ და ვსვამ, ვჭამ და ვსვამ; ვსვამ და ვჭამ, ვსვამ და ვჭამ და ი თქვენმა «პარტიის» მოყვარეებმა და გაზეთში მჯღაბნელებმა თუნდა თავი ქვას ახალონ. რატომ არ იციან, რომ კაცი კმაყოფილებისათვის არის გაჩენილი. სწავლა მისთვის მიეცე, რომ ჩვენი სოფლის გლეხ დავით ლატაკაძეზე უკეთ მეცხოვრა. ფარდა აეფარა მოუბარს. ველარ დავინახეთ.

ყველამ ერთ-ხმად მივაძახეთ „კიდევ“, „კიდევ“! «ვაშა», „ვაშა“! მაგრამ აღარ გამოჩნდა. შემდეგისთვის თურმე აპირებს თავის ცოლშვილის და ოჯახის იდეალის წარმოდგენას. თუ საინტერესო იქმნა, იმასაც მალვე მოგახსენებთ. ამასთანავე მითხრეს, რომ მეორე კვირის წარმოდგენის აფიშაში სხვათა-შორის ასეთი მუხლიაო: «ქართველი ცულლუტი ინტელიგენტი», ქართველი „ნასწავლი ქალი გათხოვებამდის და გათხოვების შემდეგ“, „მისი იდეალი და სასოწარკვეთილება“. თუ მართლა საინტერესო გამოდგა, ამასაც მოგახსენებთ. მეორე წერილამდის.

მშვიდობით!

საფამფსოფონიფი

კუდიანეთი

ტარტაროზობის 6881 წელსა.

—CIX) „დასტურლამალიდამ“ მოჰყავს მხოლოდ შემოკლებით შინაარსი რამდენისამე თავისა. მასალას კი ისეთს შეიცავს, რომ ძვირფასს განძს შეადგენს საქართველოს შინაგანის ცხოვრების ისტორიისათვის. «დასტურლამალი» ეკუთვნის მეფე ვახტანგ მეექვსეს, რომელმაც მთელი თავისი შრომა მოანდომა სამეფოს შინაგან კეთილ-განწყობილების დამყარებას და ერის სულიერის ცხოვრების განახლებასა. იმისი „სამართლის წიგნი“ მოხელეთა და ერის წინ · სამძღვანელად იყო დადებული უფლების საზღვრად და სიმართლის დასადგენად.

„დასტურლამალიც“ ამავე აზრს ემსახურებოდა მით, რომ მან განუწესა მოხელეთ «რათა წესითა და შემსგავსებითა იქცეოდენ» თავის თანამდებობის ასრულების დროსა. ამისათვის ეს წიგნი შეიცავს წესს, რიგს, რა გვარად უნდა ემსახურნათ მოხელეთა მეფის კარისათვის, რა სახელმწიფო შემოსავლიდამ რა უნდა აღოთ და როგორი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთში; რა სახელმწიფო სამსახური ედვათ მცხოვრებლებს ფულად ანუ მოსავალით, ანუ მუშაობით, დაწვრილებითი განსაზღვრა ყოველისა ამის ამცნებდა მოხელეთა და ერსა თავ-თავის ვალდებულების ასრულებასა. ამ გვარად «დასტურლამალი», როგორც თვით „სამართლის-წიგნი“, არის ძვირფასი მასალა წარსულის საუკუნოების ისტორიისა.

ამ საზოგადო მნიშვნელობასთან «დასტურლამალს» სხვა განსაკუთრებული მნიშვნელობაცა აქვს. მასში მჭიდროდ მოთავსებულია მრავალი საგანი შესახებ: მოხელეთა თანამდებობისა, უფლებისა და შეძლებისა; ქალაქთა, სოფელთა, სასარდლოთა და თემობათა გამოსაღების (ხარჯის) შეძლებისა თვითეულად და საერთოდ; მცხოვრებთა რიცხვისა; თვით გამიჯვნის და საზღვრების დადებისა, და მრავალის დიდის და წვრილის საგნებისა, რაც კი შეერთებული ყოფილა ერთის მხრით სამართალსა და გამგეობასთან და მეორეს მხრით ხარჯის გამოღებასთან. ეს ყოველი თუმცა, სამწუხაროდ, შეეხება მარტო ძველს ქართლის სამეფოს და არა სხვა სამთავროებსა, მაგალ., კახეთს ანუ იმერეთს და სხვათა,—მაგრამ მაინც საფუძველია მათ სამეცნიერო გამოკვლევის შესახებ.

„დასტურლამალი“ ეკუთვნის იმ დროს, როდესაც ვახტანგი გიორგი მეფის მოადგილედ (ჯანიშინად) იყო ქართლში, ესე იგი 1702-1711 წ. საკუთრად ეს წიგნი უნდა იყოს შედგენილი 1704 წ. შემდეგ, რადგანაც მასში შემოტანილია იმ წელს დაწერილი წყალობა ლევანისა (შაჰ ყული-ხანისა) მის დროებით ქართლში ყოფნის დროსა (გვ. 16 და 56). წიგნს კარგა ნათლად ეტყობა, რომ იგი შედგენილია ვახტანგის მიერ სხვა და სხვა გაფანტულის წერილებისაგან. თვით იხსენიებს, ადრე როსტომ მეფისა ანუ გიორგი მეფის წიგნი ჰქონდათო (გვ. 43 ყარაიის კონი, 10 ყაიყულის გამოსაღები, 109 სადედოფლო „დასტურლამალი“ და სხ.). ეტყობა ძველად გაფანტული წიგნები მოხელეთა ანუ სოფელთა, მეფეთაგან მიცემული ზოგი სრულად შეუცვლელად, ზოგი შეცვლით შემოუტანია ვახტანგს ამ წიგნში; ადგილ ადგილ მოხსენებულიც არის: «წიგნი აქეთო», ანუ წიგნს «მივეცემთო».

რაღა თქმა უნდა, რომ ბ-ნი პეტრე საზოგადოდ ჩვენის მხრით მადლობის ღირსია „დასტურლამალის“ გამოცემისათვის. ამ წიგნის გამოცემა ჰსურდა ფრანსიულს ენაზე თვით განსვენებულს ბროსსეს, როგორც დიად საჭირო მასალისა ქართულის ისტორიისათვის; მაგრამ ეს სურვილი მან აღსრულებაში ვერ მოიყვანა; მიზეზი ის იყო, რომ «დასტურლამალში» მეტად ბევრია სპარსული სიტყვები და ტერმინები, რომლის განმარტება ვერ შესძლო და უამისოდ შინაარსი წიგნისა მისახვედრი არ არის. ბ-ნ პეტრემ ეს დაბრკოლება თავიდამ აგვაცილა, მუფთის ჰუსეინ გაიბოვის დახმარებით უცხო ენის სიტყვები და ტერმინები გამოგვიკვლია და აგვიხსნა ცალკე ლექსიკონში, რომელიც მთლად „დასტურლამალის“ ბოლოს არის ჩართული. «სურვილი გვქონდა, ამბობს იგი, მომეტებულის სისრულით და განსაზღვრით აგვესრულებინა ლექსიკონის შედგენა, მაგრამ დაბრკოლება ბევრი შეგვხდაო; უპირველესად ისა, რომ გუჯრები, სიგელები და საგვარეულო წიგნები ჯერ აქამომდე არ არისო დაბეჭდილი. გადაკითხვა მათი სხვა და სხვა არხივებში ძნელი იყოვო. მაინც იმედი გვაქსო, აქ დართული ლექსიკონი მკითხველს არ გაუძნელებსო აზრის შეგნებას და შემდეგ შემუშავებას რამდენადმე დაეხმარებაო. ამავე განზრახვით დაურთევითო განმარტება ქართულის აღრიცხვისა, ფულის ანგარიშისა და სხვათა.“

«დასტურლამალის» შინაარსის გამოკვლევაც აქ დიად სასარგებლო იქნებოდა მკითხველისათვისაც და თვით საზოგადოდ ისტორიისათვისაც, ჩვენ რომ ამ წერილში ეს აზრადა გვქონოდა. საგანი რთულია და ვრცელი, ამისთვის სხვა დროისათვის გადავვიდევია. საფუძლიანმა განმარტებამ „დასტურლამალისამ“ უნდა წარმოგვიდგინოს მთელი სურათი საქართველოს შინაგანის წყობილებისა ძველის დროდამვე. მართალია, „დასტურლამალი“ შედგენილია მე-XVIII საუკ. დამდეგს, მაგრამ იმისი ნიადაგი წარსულს საუკუნოებსვე ეკუთვნის; ვახტანგს მხოლოდ შეუცვლია ქართლის სახელმწიფო-საზოგადოებრივის წყობილების გარეგანი ფორმები და ტერმინები გადღულია სპარსულად. მიზეზი ცხადია: იმ დროის ქართლი, რომელსაც თვით ვახტანგი ეკუთვნოდა, სპარსეთის გავლენის ქვეშ იყო და ამისთვის ვახტანგი ცდილობს ქართლის შინაგანი წეს დებანი სპარსულს წესდებათ შეუთანასწოროს. ამ „დასტურლამალის“ გამოკვლევა მოითხოვს ხან-გრძლივს გამოძიებას და განსაკუთრებით შესწავლას, როგორც ბ-ნი პეტრე ამბობს, გუჯრებისას და სიგელებისას, რომელნიც თუმცა ბლომად გვაქვს, მაგრამ ჯერ-ჯერობით თითქმის ხელ-უხლებლად გვიწყვია კერძო-სახლების ზანდუკებში და სხვა-და-სხვა სამმართველოების არხივებში.

იქნება ჩვენ, ქართველები, ბევრს რაშიმე აჩქარებულნი ვიყვენით და ამ აჩქარებით საქმეს ვიხდენდით, მაგრამ ძველის ჩვენის მწერლობისა და საზოგადოდ ნაშთთა შემოკრებაში და გამოკვლევაში მეტის-მეტად აუჩქარებელნი ვართ და ამ აუჩქარებლობით ჩვენის ქვეყნის ისტორიას დიდად ვავნებთ. ძლივს მოვახერხეთ გამოცემა ვახუშტის «ისტორიის ნაწილისა,» ვახტანგის „ქილილა და დამანასი“ და ვახტანგისავე „დასტურლამალისა“, რომელიც ეს არის გამოვიდა, თუმცა იბეჭდებოდა 20 წელზე მეტი. ამ სიტყვებს ბ-ნი პეტრე საყვედურად ნუ მიიღებს. სხვა იყოს კიდევ ჰო, მაგრამ ბ-ნ პეტრეს აუჩქარებლობისთვისა საყვედურს ვერ გავუბედავთ. ამ გვარ გარემოებაში ჩვენ მხოლოდ ვხედავთ საზოგადო სენსა, რომლის შესუსტება და ამოფხვრა უეჭველად საჭიროა.

ასეა თუ ისე, ჩვენ საზოგადოებას მძიმე მოვალეობა აწევს კისერზე. ეს მოვალეობა არის შემოკრება და გამოცემა ძველის მწერლობისა და გუჯარ-სიგელებისა. ნურავინ იფიქრებს, რომ საქართველოს ისტორიის შედგენა იმ გვარად, როგორც ჩვენი დრო ამას მოითხოვს, ოდესმე შესაძლებელი საქმე იყოს ვისგანმე, მანამდე ყველა მასალა საქართველოს ტომ-ნათესავის შინაგანის წყობილებისა და ცხოვრებისა ისტორიის შემადგენელს ხელად არ ექნება. ბევრ გვარია ეს მასალა: ხრონიკები, სიგელ-გუჯრები, სჯულ-კანონები, წარწერანი, მონასტერ-ეკკლესიათა ქანდაკნი და მხატვრობანი, რომელნიც წარმოგვიდგენენ ძველ ტან-საცმელებს, სხვა-და-სხვა სურათებს და ბარელიეფებს და სხ. ამ საქმეში საჭიროა მონაწილეობა თვით საზოგადოებისა ღონის-ძიებით და სხვაფრივ; საჭიროა შეერთებული შრომა იმ პირთა, რომელნიც ცოტად თუ ბევრად ამისთვის მომზადებულნი არიან. მოკლედა ვსთქვათ, საჭიროა ერთის მხრით ღონის-ძიების მიღება, ხარჯი, მეორის მხრით შრომა, ვიდრე ამ ორს ერთმანეთს არ შევუკავშირებთ, ამ საქმეს წინ ვერ წავწევთ. შეიძლება, პეტრე თუ პავლე კერძოდ სეინიდისიანად შრომობდეს, მაგრამ თვითეულის მათგანის შრომა ორი-სამი ცვარია ზღვაში, სხვა არაფერი.

დიმიტრი ბაქრაძე

ს. ხიდის-თავი
6 აგვისტო, 1886 წ.

დეპეშა

აგვისტოს 8-სა

პეტერბურგი. ვარშავის უნივერსიტეტს ნება მიეცა უმაღლესად, მიიღოს ხოლმე სასულიერო სემინარიაში კურს-შესრულებულნი მარტო ისტორიულ-ფილოლოგიურსა და ფიზიკურსა და მათემატიკურს ფაკულტეტებზედ.

იუსტიციის სამინისტროს გამგებლის განკარგულებისამებრ, უეცრივ შემოწმება იმ ფულისა, რომელიც მომრიგებელთ მოსამართლეთა ხელშია ხოლმე, შეუძლიანთ კანტროლის პალატის მოხელეთაცაო: ან პალატის გამგებელს, ან მისის მინდობილობით რომელსამე უფროსს მოხელეს პალატისასა და თვით რევიზორის თანაშემწესაცაო. შემოწმების დროს უნდა დაესწროს მომრიგებელი მოსამართლე, თუ მის ხელში მოგროვილს ფულს ამოწმებენო, ხოლო თუ მომრიგებელთა მოსამართლეთა კრების ფულია შემოწმებელი, უნდა დაესწროს კრების თავმჯდომარე, ან უფროსი წევრი კრებისაო.

აგვისტოს 9-სა

პეტერბურგი. «Journal de st.-Pétersbourg»-ი ამბობს, რომ ინგლისის გაზეთებმა ტყუილად გაავრცელეს ხმა, ვითომ რუსებმა დაიჭირეს ლაზარევის ნავთ-სადგური კორეაშიო.

სარატოვი. ვოლგაზე როვნოსთან დაიწვა გემი „ვერა“ „სამოლეტის“ საზოგადოებისა. როგორც ამბობენ, ბევრი ხალხი დაღუპულა. გუბერნიის უფროსი და ჟანდარმის პოლკოვნიკი წასულან იქ, სადაც ეს უბედურობა მოჰხდა.

სარატოვი. დამწვარის გემის „ვერა“-ს პასაჟირებთაგან ორას კაცამდე დაღუპულა. დამწვარან მხოლოდ ოთხნი; დანარჩენნი დამრჩვალან. ცეცხლი გაჩენილა ლამფისაგან პირველს კლასში.

ლონდონი. ლორდ ჩერჩილს უთქვამს, მართებლობამ გადასწყვიტა, რომ გაგზავნი სამხრეთ-დასავლეთს ირლანდიაშიო გენერალს ბელლერს მაღ-მოძრეობის მოსასპობადაო.

სოფია. ოსმალ-ბოლგარიის კომისიის საქმე შესდგა, რადგანაც უთანხმოება გამოერიათო.

ჩიკაგო. ირლანდიის კონგრესმა გარდასწყვიტა, რომ ჩვენ მოგვწონს დედა-აზრი თვით-მმართველობის დაარსებისა ირლანდიაშიო და მადლობას უცხადებთ გლადსტონსაო. დეპუტატმა რედმონდმა სთქვა: ირლანდიის ერმა დაამტკიცა, რომ შეუძლია ერთგული მეგობრობაო, ახლა იმასაც დაამტკიცებს, რომ საშინელი მტრობაც შეუძლიანო.

ჩიკაგო. საქმის გარჩევა მაისში მომხდარის უწესოებისა ანარქისტების-მიერ გათავდა: შვიდი ბრალდებული დამნაშავედ იქმნა ცნობილი მკვლელობაში და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უჱო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3.

აგვისტო 31 დღით არის

10 დღე კვირა. წმ. მოწ. ლავრენტისა. კათოლ. წმ. ლავრენტისა. სომეხ. ალების ღამე წმ. ღვთის მშობლის მარხვისა. მარხვაა 5 დღე. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2—42. ტფილისში მზე ამოდის 5—15, ჩადის 6—50; მთვარე ამოდის 11—12, ჩადის 12—3.

11 დღე ორშაბათი. წმ. ქალწ.-მოწ. სუსანნასი. კათოლ. წმ. ქალწ.-მოწ. ფილიუმენისა. სომეხ. პირველი დღე მღვთის-მშობლის მარხვისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2—27. ტფილისში მზე ამოდის 5—16, ჩადის 6—48; მთვარე ამოდის 11—57, ჩადის 1—3.

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სას წავლებელი.

მაქვს პატივი ვაცნობო ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა, რომელთაც ჰსურთ შვილები მოაბარონ რწმუნებულს ჩემდამი **სათავად-აზნაურო სასწავლებელში**, რომ მომავალის ენკენისთვისათვის მოსამზადებელის კლასის პირველს განყოფილებაში **ოც-და-ათი ვაკანსიაა** არის თავისუფალი, რომლებზედაც მიღებულ იქმნებიან უეგზამენოდ შვიდის წლის ყმაწვილები. რამდენსამე მარშანდელს მოსწავლეს ამ განყოფილებისას კიდევ ექმნებათ ეგზამენი აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში და, თუ ისინი გადაყვანილ იქმნენ შემდეგ განყოფილებაში, იმ შემთხვევაში 30-ს ვაკანსიას კიდევ მოემატება რამდენიმე ვაკანსია.

მოსამზადებელის კლასის სხვა განყოფილებაში ყველა ვაკანსიები დაკავებულია და ვერავის მივიღებთ ამ წელიწადში. მესამე პროგიმნაზიულს კლასშია **ხუთი ვაკანსია** და ამ ვაკანსიების დაჭერა შეუძლიანთ თოთხმეტის წლის ყმაწვილებს, რომელნიც ამ კლასის შესაფერად მომზადებულნი აღმოჩნდებიან.

თხოვნა და საბუთები (წლოვანობის მოწმობა და აზნაურობისა, ან ბანკში მონაწილეობისა) ერთად უნდა შემოიტანონ სასწავლებლის მმართველის სახელზედ აგვისტოს 15 რიცხვიდგან. ყმაწვილების მიღების საქმე გარდაწყდება აგვისტოს უკანასკნელს რიცხვს.

სასწავლებლის მმართველი
(8—5) ა. ჭიჭინაძე.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

წელიწადი მეხუთე

კურსების დანიშნულებას ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებსა და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

1886—87 სამოსწავლოს წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხგალტერია** (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით**, 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა და წერა **გარკვეული და შნოიანი**.

სწავლა დაიწყობა 15 სექტემბრიდამ, ახლად შემოსასვლელთა მიღება დაიწყობა 25 აგვისტოდამ ყოველ დღე საღამოს 5 საათიდამ 8 საათამდე კურსების სადგომში, **სოლოლაკში, ლაბორატორის ქუჩაზედ, № 11**.

პროგრამები და წესები კურსებისა **უსასყიდლოდ** შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს **ს. პ. მანუელიანცს** ტფილისს.

(11—6)

Дозволено цензурою· Тифлисъ 9 августа, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.